საქართველოს სავტომობილო სპორტის ფედერაციის 2016 წლის მოთხოვნები და ტექნიკური რეგლამენტი GTCC (Georgian Touring Car Chapionship) კლასში მონაწილე BMW Compact ავტომობილებისთვის

სარჩევი:

1) კლასში დასაშვები ავტომობილის მარკა და მოდელი
2) ავტომობილის ძრავი
3) ჰაერის მიწოდების და ნამუშევარი აირების გამოშვების მოწყობილობები
4) ავტომობილის წონა
5) საბურავები და დისკები
6) სავალი ნაწილი
7) ტრანსმისია
8) საწვავის სისტემა
9) უსაფრთხოების პაკეტი
10) ავტომობილის ბაზა
11) სამუხრუჭე სისტემა
12) საჭის მართვის სისტემა
13) დაკიდების სისტემა
14) ავტომობილის ძარა
15) ავტომობილის ინტერიერი
16) ავტომობილის ელექტრო სისტემა
17) ავტომობილის მაშუქი და სასიგნალო ელემენტები
18) ავტომობილის სარბოლო ნომერი

1. კლასში დასაშვები ავტომობილის მარკა და მოდელი

1.1 BMW318 Ti (compact).

1.2 მრბოლელები დაიშვებიან მხოლოდ იმ ავტომობილებით, რომელიც რეგისტრირებულია და გააჩნია სახელმწიფო ნომერი ან რეგისტრირებულია საავტომობილო სპორტის ფედერაციაში როგორც სპორტული ბოლიდი და გაჩნია ფედერაციის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა (სპორტული ბოლიდის პასპორტი).

1.3 შეჯიბრში რეგისტრაციის გასავლელად მრბოლელს უნდა გააჩნდეს მონაწილის ეროვნული (Competitor N) ან საერთაშორისო (Competitor) ლიცენზია ან ყავდეს ამ ლიცენზიის მფლობელი მისი წარმდგენი პირი.

2. ავტომობილის ძრავი

2.1. (M42b18) 1796 კუბ/სმ და (M44b19) 1895 კუბ/სმ, ორი გამანაწილებელი ლილვით და საწვავის იჟექტორული შეფრქვევის სისტემით. აღჭურვილი, მხოლოდ ქარხნული კომპლექტაციით.

2.2. ძრავის ტექნიკური მონაცემები და სიმძლავრე არ უნდა ცდებოდეს დადგენილ ზემო ზღვარს, რომელიც განისაზღვრება:

- ძრავზე (M42B18) 138 ცხ.ძ.
- ძრავზე (M44B19) 142 ცხ.ძ.

2.3. აუცილებელია ძრავის მბრუნავი ყველა დეტალი იყოს ქარხნული (სტანდარტული) მისი წონის ზომის და სხვა მონაცემების გათვალისწინებით.

დასაშვებია მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ორი მოდელის მბრუნავი დეტალებიდან ქანქარას (მახავიკის) ერთმანეთზე გამოყენება (10კგ მშრალი კონსტრუქციის და 12.2 კგ ზამბარებიანი).

2.4. ძრავის ბრუნვათა მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება ქარხნული მახასიათებლებით:
- ძრავზე (M42B18) 6800 rpm
- ძრავზე (M44B19) 6500 rpm

2.5. დაუშვებელია ძრავის ნებისმიერი კომპლექტაცის შეცვლა იგულისხმება (დგუშები ღერძები და სხვა) ძრავი უნდა იყოს ქარხნული კომპლექტაცით. (დასაშვები სარემონტო დგუშების დაყენება მაქს 0.25მმ)

3. ჰაერის მიწოდების და ნამუშევარი აირების გამოშვების მოწყობილობები

3.1. ნამუშევარი აირების გამომშვები ტრაქტის კონფიგურაცია უნდა იყოს ქარხნული კომპლექტაციის (პროექცია ზედხეში) ასევე დაუშვებელია აირების გამომშვები ტრაქტის შეცვლა ძრავთან გადაბმის წერტილში (ნამუშევარი აირების გამშვები კოლექტორი).

3.2. ნამუშევარი აირების გამშვები ტრაქტის მილის მაქსიმალური დიამეტრი არ უნდა ღემატებოდეს სტანდარტულ ზომებს მილიმეტრში - 57მმ.

3.3. დასაშვებია ნამუშევარი აირების გამომშვებ ტრაქტში კვანძების და ტიხრების მოცილება მაგ: (ალსაქრობი, კატალიზატორი).

3.4. სავალდებულოა მაყუჩის ბოლო ნაწილში ქილის არსებობა, თუნდაც ის სრულად იქნას გათავისუფლებული ტიხრებისგან და შიდა მაკომლექტებლისგან. დასაშვებია ქარხნული ქილის სხვა ქილით შეცვლა (ზომა და ფორმა ინდივიდუალური. იგულისხმება როგორც სტანდარტული ასევე სხვა მწარმოებლების სპორტული და ნახევრად სპორტული ავტომობილებისთვის სპეციალურად შექმნილი ქილები).

3.5. დაუშვებელია ნამუშევარი აირების გამომშვები ტრაქტის მილების დიამეტრის გაზრდა.

3.6. დასაშვებია ძრავის სტანდარტული ჰაერის ფილტრის ე.წ „ნაკლები წინამღდეგობის „ფილტრით შეცვლა სხვა ნებისმიერით.

3.7. გამონაბოლქვი გაზების გაშვების სისტების ბოლო წერტილი არ უნდა ცდებოდეს ავტომობილის გარე კონტურს და შესაძლებელია რომ ის შეწეული იყოს ავტომობილის გარე კონტურიდან მაქსიმუმ 10 სმ-ით.

ნებისმიერი ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი დაჯარიმდება ფულადი ჯარიმით რომელიც განისაზღვრება 1000 ლარით,(თანხას იხდის ორგანიზატორის კუთვნილ ანგარიშზე) ასევე დისვკალიფიკაცით 2 რბოლაზე და მიმდინარე სარბოლო სეზონზე
მოპოვებული ქულების ანულირებით.

4. ავტომობილის წონა

4.1. სრულად აღჭურვილი ავტომობილის წონა პილოტის და სრული სპორტული ეკიპირების (დამცავი ჩაფხუტი, ხელთათმანები, კომბინიზონი და სხვა) ჩათვლით უნდა იყოს არანაკლებ 1,150 კგ როგორც ნებისმიერი დაგეგმილი თუ მოულოდნელი (ტექ. კომისრის მოთხოვნით) შემოწმების დროს, ასევე რბოლის დასრულების შემდეგ.

5. საბურავები და დისკები.

5.1. საბურავები ზომა 195/50/R15 Nankang NS 2R Treadwear 120 (ნახევრად სლიკი) სხვა საბურავით ჩემპიონატში მონაწილეობა აკრძალულია.
5.2. დისკის მაქსიმალური სიგანე გასისაზღვება - 7ჯ (J). დისკის მაქსიმალური გამოწეულობა ნებისმიერი რაც არ გამოიწვევს 10.1 და 10.2 პუნქტში მოცემული პარამეტრებიდან გასვლას.
5.3. დასაშვებია ნებისმიერი სერიული გამოშვების დისკი რომელიც ჯდება ზემოთ აღნიშნულ სტანდარტში.

6. სავალი ნაწილი

6.1. დასაშვებია მხოლოდ ქარხნული შესრულებით (იგულისხმება ზომები).
6.2. განივი მდგომარეობის სტაბილიზატორი მხოლოდ ქარხნული. წინა - 26მმ, უკანა 16მმ.
6.3. დაშვებულია ავტომობილზე უკანა ბერკეტზე ექსცენტრული სარჭების დამონტაჟება (უკანა „რაზვალის: და „სხოდის“ რეგულირება)

7. ტრანსმისია

7.1. დაუშვებელია ნებისმიერი ჩარევა გადაცემათა კოლოფში. გადაცემათა რიცხვი უნდა
ემთხვეოდეს შემდეგ სტანდარტს: 1 – 4.23; 2 – 2.52; 3 – 1.66; 4 – 1.22; 5 – 1.00;
7.2. დაუშვებელია დიფერენციალში (უკანა ხიდი) სრული ან ნაწილობრივი თვით მაბლოკირებელი მოწყობილების გამოყენება.
7.3. დაშვებულია მხოლოდ დიფერენციალის (მთავარი გადაცემა) 3.38 და 3.45

8. საწვავის სისტემა

8.1. დაუშვებელია ნებისმიერი ჩარევა საწვავის მიწოდების სისტემაში. (მათ შორის შემშვებ აგრეგატში).
8.2. დაუშვებელია საწვავის ნებისმიერი დანამატის გამოყენება.
8.3. დაშვებულია დამატებითი ან სხვა საწვავის ტუმბოს და საწვავის ფილტრის გამოყენება.

9. უსაფრთხოების პაკეტი

9.1. უსაფრთხოების დამცავი კარკასი - FIA–ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) მოქმედი ომოლოგაციით ან სსსფ–ის სერთიფიცირებული პირის ან ორგანიზაციის მიერ დამზადებული და ოფიციალურად რეგისტრირებული.
9.2. უსაფრთხოების დამცავი კარკასის ძირითადი (ცენტრალური) მილის დიამეტრი არანაკლებ 42მმ, კედლის სისქე არანაკლებ 2მმ, მილის კონსტრუქციული წყობა - ნაკერის გარეშე (უნაკერო).
9.3. უსაფრთხოების დამცავი კარკასის ყველა დანარჩენი მილის მინიმალური გარე დიამეტრი

არანაკლებ 38მმ, კედლის სისქე არანაკლებ 2.5მმ, კონსტრუქციული ფორმა - ნაკერის გარეშე (უნაკერო);

9.4. აუცილებელია ძრავის განყოფილების ხუფის ჭილიბყურა ჩამკეთი სისტემით აღჭურვა და ქარხნული საკეტის გაუქმება.

9.5. აუცილებელია საბარგულის ხუფის გარე ჩამკეთი სისტემით აღჭურვა და ქარხნული საკეტის გაუქმება.

9.6. ავტომობილის სალონში შეღწევა შესაძლებელი უნდა იყოს ყველანაირი დამხმარე საშუალებებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

9.7. დასაშვებია მხოლოდ სპორტული (ერთიანი) FIA–ს მიერ ომოლოგირებული (ნებისმიერი წლის სტანდარტი) სავარძელი.

9.8. დასაშვებია მხოლოდ FIA-ს მიერ ომოლოგირებული (ნებისმიერი წლის სტანდარტი) ჩაფხუტი.

9.9. დასაშვებია მხოლოდ FIA-ს მიერ ომოლოგირებული (ნებისმიერი წლის სტანდარტი) უსაფრთხოების ღვედი.

9.10. მრბოლელის კომბინიზონი–დასაშვებია FIA-ს მიერ ომოლოგირებული (ნებისმიერი წლის სტანდარტი) ნებისმიერი ტიპის და შეფერილობის კომბინიზონი.

9.11. მრბოლელის ფეხსაცმელი–დასაშვებია FIA-ს მიერ ომოლოგირებული ან სარბოლო ფეხსაცმლის ანალოგიური ფორმის სპორტული ფეხსაცმელი.

9.12. სავალდებულოა ნებისმიერი ფერის ტიპის ჩაფხუტის შიდა ანტიალერგიული ქსოვილის დამცავი ქუდი.

9.13. სავალდებულოა მხოლოდ FIA-ს მიერ ომოლოგირებული შიდა სამოსი სრული კომპლექტაციით (ნებისმიერი წლის სტანდარტი).

9.14. ხანძარ საწინამღდეგო უსაფრთხოება– დასაშვებია როგორც ომოლოგირებული სისტემური ცეცხლმაქრი, ასევე მინიმუმ 2 კილოგრამიანი ფხვნილოვანი ცეცხლმაქრი.

9.15. ცეცხლმაქრს უნდა გააჩნდეს სპეციალური საზედამხედველო ორგანოს მიერ გაცემული ხარისხთან შესაბამისობის ან ვარგისიანობის სერთიფიკატი და მოქმედების ვადა.

9.16. ცეცხლმაქრი ავტომობილში განთავსებული უნდა იყოს წამვანი ღერძის პარალელურად ისე, რომ მრბოლელს შეეძლოს მისი ხმარება ღვედის გაუხსნელად.

9.17. ცეცხლმაქრი დამაგრებული უნდა იყოს ავტომობილში იმგვარად, რომ მისი ამოღება შესაძლებელი იყოს დამხმარე ინსტრუმენტების გარეშე.

9.18. უსაფრთხოების ბადეები სავალდებულოა. ავტომობილში მჯდომი პირის (მრბოლელის) მხარეს უნდა იყოს უსაფრთხოების ბადე და ის უნდა მაგრდებოდეს უსაფრთხოების კარკასზე და არ უნდა იყოს კავშირში კართან.

9.19. ბადის ღვედის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 19 მმ-ისა. ბადის ღვედებს შორის დაშორება უნდა იყოს არანაკლებ 25x25 მმ-ისა და არაუმეტეს 60x60 მმ-ისა.

9.20. ავტომობილს უნდა გააჩნდეს საბუქსირე როგორც წინა ასევე უკანა მხარეს, რომელიც იოლად შესამჩნევი იქნება შეჯიბრის პერსონალისთვის. საბუქსირე არ უნდა სცდებოდეს ძარის გარე კონტურს, შეფერილი უნდა იყოს მკვეთრად გარჩევადი ფერით (ფორთოხლისფერი, ყვითელი, ფოსფორისფერი და ა.შ.). აღნიშნული უნდა იყოს ძარაზე მიმანიშნებელი ისრით, რომიც იქნება ძარის ფერისგან განსხვავებული მკვეთრად გარჩევადი ფერის. საბუქსურე შესაძლებელია იყოს ღვედის სახის.

10. ავტომობილის ბაზა

10.1. ავტომობილის წინა და უკანა საბურავების კვალის მაქსიმალური სიგანე არ უნდა აღემატებოდეს 172,5 სანტიმეტრს.

11. სამუხრუჭე სისტემა

11.1. ნებადართულია მხოლოდ ქარხნული სამუხრუჭე სისტემა და ქარხნული ზომის და ფორმის სამუხრუჭე დისკები (იგულისხმება როგორც არავენტილირებადი, ასევე ვენტილირებადი).
11.2. ნებადართულია სპორტული (ლითონ–კერამიკული) ან ნახევრადსპორტული სამუხრუჭე ხუნდების გამოყენება სტანდარტული ქარხნული ზომის შეცვლის გარეშე.
11.3. დაშვებულია სამუხრუჭე ძალის კონტურების მიხედვით (წინა უკანა)გადამანაწილებელი, წნევის მარეგულირებელი ონკანის დაყენება.
11.4. აკრძალულია სტანდარტული ხელის მუხრუჭის ნებისმიერი მოდიფიცირება ან გაუქმება.
11.5. აკრძალულია სამუხრუჭე ძალის ვაკუუმური გამაძლიერებელის გაუქმება (თუ კი ასეთით აღჭურვილია ავტომობილი ქარხნული წესით).
11.6. აკრძალულია ნებისმიერი გადანაცვლება სამუხრუჭე სისტემაში (დიდი საყრდენი დისკები წინ და უკან) დასაშვებია მხოლოდ ქარხნული კომპლექტაცია.

ნებისმიერი ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი დაჯარიმდება ფულადი ჯარიმით რომელიც განისაზღვრება 1500 ლარით.(თანხას იხდის ორგანიზატორის კუთვნილ ანგარიშზე) ასევე მიმდინარე სარბოლო სეზონზე მოპოვებული ქულების ანულირებით.

12. საჭის მართვის სისტემა

12.1. ნებადართულია საჭის ჰიდრო ან ჰიდრო ელექტრო გამაძლიერებლის გაუქმება.

13. დაკიდების სისტემა

13.1. ნებადართულია ყველა სახის ამორტიზატორების და ზამბარების დამონტაჟება.
13.2. ნებადართულია დახრილობის პროცენტული მაკონტროლებელი ღერძების შეცვლა როგორც წინა ასევე უკანა თვლებზე.

14. ავტომობილის ძარა

14.1. დასაშვებია მხოლოდ სტანდარტული კონფიგურაცია. აკრძალულია აეროდინამიკული ელემენტების (ფრთა, სპოილერი, არა ქარხნული ბამპერი) წინა და უკანა ფრთების კონფიგურაცის შეცვლა. (დაიშვება მხოლოდ ქარხნულად გამოშვებული მოდიფიკაცია M პაკეტი).
14.2. დასაშვებია საჰაერო ჭრილების (ვენტილაცისთვი) გაკეთება მთლიანობის დარღვევის გარეშე.
14.3. აუცილებელია წინა საქარე მინაზე საჩრდილობელი სტიკერის გაკვრა.
14.4. წინა საქარე მინა უნდა იყოს გამოკვეთილი ბზარების გარეშე.
14.5. მანქანის წინა საქარე და წინა გვერდითი ფანჯრები უნდა იყოს ლამინირებული მინა (ქარხნული წარმოების მინა დაფარული ფერადი ან უფერული ფირით, რომელიც არ მისცემს მინას გატეხვის შემთხვევაში ჩამოშლის საშუალებას).

14.6. ავტომობილის წინა გვერდითი კარის მინები მოძრაობაში უნდა მოდიოდეს ქარხნული წესით დამზადებული ამძრავი მექანიზმით.
14.7. დასაშვებია საქარე მინაზე მზისგან დამცავი ფირის გადაკვრა იმ შემთხვევაში თუ შიგნით მყოფ პირს თავისუფლად შეუძლია გარე არეალის (მანიშნებელი დროშების, შუქნიშნების, საგზაო ნიშნების და ა.შ.) დანახვა და თუ მისი შუქის გამტარიანობის დონე არ არის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მინიმუმზე ნაკლები და ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მანქანის სალონის დანახვა არანაკლებ 5 მეტრიდან.
14.8. მინის საწმენდები (ჯაგრისები) და შემომრეცხი უნდა უზრუნველყოფდეს მინის სწრაფ და მაღალ ხარისხიან წმენდას.
14.9. იკრძალება ბამპერის შიგნით, კარებში და ინსტრუმენტალური პანელის ქვეშ არსებული ძალური ელემენტების (თუ კი ასეთი ქარხნულად არის გათვალისწინებული) მოცილება.

15. <u>ავტომობილის ინტერიერი</u>

15.1. ავტომობილი, რომელიც მონაწილეობას იღებს შეჯიბრში აუცილებლად უნდა გააჩნდეს ქარხნული წარმოების მაჩვენებელთა დაფის ცენტრალური კონსოლი (ე.წ. „ტორპედო“).
15.2. შესაძლებელია უსაფრთხოების ბალიშების მოხსნა თუ ეს არ დაარღვევს მაჩვენებელთა დაფის ცენტრალური კონსოლის ერთიან ფორმას და დაფარვა სხივის არა ამრეკლი მასალით.
15.3. სპორტული ავტომობილის სალონში (იატაკზე, ჭერზე, გვერდებზე და ა.შ.) არსებული ხალიჩის ან მისი მაგვარი საფარი უნდა იყოს მთლიანად მოხსნილი.
15.4. სპორტული ავტომობილის სალონის ქარხნული მოპირკეთება (ჭერის, იატაკის, კარებების და ა.შ.) შესაძლოა შეცვლილი იქნას სხვა ძნელად აალებადი მასალით.

16. <u>ავტომობილის ელექტრო სისტემა</u>

16.1. სავალდებულოა აკუმულატორის ზედა ნაწილის რეზინის ნაჭრით იზოლირება.
16.2. დასაშვებია აკუმულატორის ადგილმდებარეობის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის მყარად იქნება დამაგრებული და დახურული იქნება დამცავი კონსტრუქციით.
16.3. დაუშვებელია ა/მ პროგრამულ უზრუნველყოფაში ნებისმიერი ჩარევა, ყველა კომპიუტერი პროგრამირდება ქარხნულ პარამეტრზე ორგანიტარის მიერ, ილუქება და ყოველი რბოლის შემდგომ გადის ტექნიკურ შემოწმებას.
16.4. აკუმულატორი მყარად უნდა იყოს დამაგრებული და მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ნებისმიერი სახის მექანიკური დაზიანებისაგან.
16.5. აკუმულატორის სამაგრი და დამცავი ხუფი დაფარული ან დამზადებული უნდა იყოს არა ელექტრო გამტარი და ძნელადაალებადი მასალისაგან.
16.6. ნებადართულია დამატებითი, ან პარალელური მართვის პულტის დამონტაჟება (ძრავის გაშვების ღილაკი, მასის გამოსართველი და სხვა).
16.7. ავტომობილი აღჭურვილი უნდა იყოს ელექტროობის გამთიში სისტემით. ელექტროობის გამთიშმა სისტემამ უნდა გაწყვიტოს ყველა სახის ელექტრული წრედი, ძრავში საწვავის მიწოდების სისტემა და უნდა აჩერებდეს ძრავის მუშა პროცესს.
16.8. ელექტროობის გამთიში სისტემის გამშვები დამაგრებული უნდა იყოს მანქანის სალონში და სალონის გარეთ - ავტომობილზე.

16.9. სალონში ელექტროობის გამთიში სისტემის გამშვები დამაგრებული უნდა იყოს ისეთ ადგილას, რომ მრბოლელს ღვედის გაუხსნელად შეეძლოთ მისი გამოყენება.

16.10. ელექტრო გაყვანილობის სადენები მაქსიმალურად დაცული უნდა იყოს ყველა სახის შესაძლო დაზიანებისაგან (მტვერი, წყალი, ქვები) და ხანძრისგან

17. <u>ავტომობილის მაშუქი და სასიგნალო ელემენტები</u>

17.1. აკრძალულია ავტომობილის მაშუქი და სასიგნალო ელემენტების მოცილება.

17.2. ავტომობილზე გამართულად უნდა მუშაობდეს ყველა ელემენტი (ავარიული ციმციმა, ნათურები წინ და უკან, სამუხრუჭე სანათები და სხვა).

18. <u>ავტომობილის სარბოლო ნომერი, მრბოლელის გვარი და ინიციალები</u>

18.1. რბოლაში მონაწილეობისათვის უნდა ხდებოდეს ავტომობილის და მრბოლელის იდენტიფიცირება.

18.2. სარბოლო ნომერი და მრბოლელის გვარი ინიციალებთან ერთად განთავსებული უნდა იყოს ავტომობილის უკანა გვერდით შუშებზე შემდეგი მიმდევრობით: სარბოლო ნომერი და მის ქვეშ მრბოლელის გვარი ინიციალებთან ერთად

18.3. სარბოლო ნომერი და მრბოლელის გვარი ინიციალებთან ერთად განთავსებული უნდა იყოს ავტომობილის წინა საქარე მინაზე მძღოლის საპირისპირო მხარეს.

<u>დასკვნითი დებულება:</u> *<u>დაუშვებელია წინამდებარე რეგლამენტის ორმაგი განმარტება. ნებისიერი საკითხის დაზუსტება და განმარტება მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური კომისიის ან კლასის წარმომადგენლების პრეროგატივა. ნებისმიერი ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში დამრღვევი დაჯარიმდება როგორც ფულადი ჯარიმით, ასევე ქულების ანულირებით და დისკვალიფიკაციით გამომდინარე კონკრეტული დარღვევის სიმძიმით ან სპორტული კომისრების გადაწყვეტილებით.</u>*